კონკურსის „ფინანსური ასოციაციობანა“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ინფორმაცია კონკურსანტი სკოლისა და კონკურსანტი მასწავლებლის შესახებ

თამარ გეგიძე,

თბილისის #106 საჯარო სკოლა

ინფორმაცია ჩატარებული ღონისძიების შესახებ

კლასი, რომელშიც ჩატარდა აღნიშნული ღონისძიება	თამაში ჩავატერე კლუბ „ფინედუს დესპანების“ ფარგლებში, რომელის ჩემს მიერ არის ჩამოყალიბებული .
აქტივობის აღწერა ***(200-1000 სიტყვა)*** - *როგორ წარმართეთ აქტივობა?* - *სამაგიდო თამაშიდან რომელი მასალები გამოიყენეთ?* - *რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განახორციელეთ იდეა აქტივობისთვის?* - *რა დამატებითი მეთოდები/საშუალებები გამოიყენეთ აქტივობის მსვლელობისას?* - *რა დრო დასჭირდა ჩატარებულ აქტივობას?*	აქტივობა ჩავატარე თამაშის ფორმატში,ფინანსური ასოციაციობანას მოდიფიცირებით.ჩატარებული აქტივობა მიმდინარეობს აქტიურ ფორმატში,დრო:30წთ.გთავაზობთ მოდიფიცირებული თამაშის აღწერას. ფინანსური მოგზაურობა • საჭირო მასალები: სათამაშო დაფა, კამათელი, მოთამაშეების ფიგურები, ფინანსური ტარმინების ბარათები, ვირტუალური ფული, დროის მზომი • სათამაშო დაფის დიზაინი: დაფა არის წრიული ან სპირალური ფორმის • დაფა დაყოფილია სხვადასხვა ფერის უჯრებად, რომლებიც წარმოადგენენ სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტს ან სიტუაციას. • ლურჯი უჯრედები-ბანკი • მწვანე უჯრედები-ინვესტიციები • ყვითელი უჯრები-დაზოგვა • წითელი უჯრები-ხარჯები/გამოწვევები • იისფერი უჯრები-დაზღვევნარინჯისფერი უჯრები-ბიზნესი • თამაშისთვის შექმნილია ბარათები თითოეული კატეგორიისთვის,ბარათის წინა მხარეს დაწერილია ფინანსური ტერმინი და მისი მარტივი განმარტება .უკანა მხარეს მოკლე სავარჯიშო ან კითხვა ამ ტერმინთან დაკავშირებით, ასევე ბარათზე მითითებულია რამდენი ქულა/ფული მიიღო მოთამაშემ სწორი პასუხის შემთხვევაში. • თამაშის წესები: ყველა მოთამაშე იწყებს საწყისი უჯრიდან. თითოეული მათგანი იწყებს საწყის კაპიტალს 500 „ფინანსი“.გამარჯვებულია ის, ვინც დააგროვებს ყველაზე მეტ

	ფულს თამაშის ბოლოს .მოთამაშეები რიგრიგობით აგორებენ კამათელს და მოძრაობენ შესაბამისი რაოდენობის უჯრით.ფერადი უჯრის შესაბამისად იღებენ ბარათს შესაბამისი კატეგორიიდან.მოთამაშე ხმამაღლა კითხულობა ტერმინს და განმარტებას.შემდეგ პასუხობს ბარათის უკანა მხარეს დასმულ შეკითხვას. თუ პასუხი სწორია იღებს ბარათზე მითითებულ თანხას ბანკიდან. • სპეციალური უჯრედები: ბანკი-მოთამაშეს შეუძლია ფულის შენახვა და პროცენტის მიღება • ინვესტიცია : მოთამაშე დებს ფულს და შემდეგ სვლებში იღებს მოგებას ან ზარალს. • ხარჯები; მოთამაშეს უწევს გარკვეული თანხის გადახდა • ბონუსი: მოულოდნელი მოგება • ინტერაქცია მოთამასეებს შორის: მათ შეუძლიათ ერთმანეთისგან სესხება, შეუძლიათ ბიზნესის გაყიდვა ან ყიდვა. • წარმოგიდგენთ რამოდენიმე ბარათის აღწერილობას: ტერმინი დეპოზიტი-ფული რომელსაც ბანკში ინახავ და გაქვს საპროცენტო სარგებელი.ბარათზე მოცემული დავალება: თუ ბანკში შეიტანე 100ლარი და წლიური საპროცენტო განაკვეთია 5% ,რამდენი ლარი გექნება 1წლის შემდეგ? სწორი პასუხი: ჯილდო 50 ფინანსი • ტერმინი სესხი:ფული, რომელსაც გაასესხებს ბანკი და უნდა დააბრუნო პროცენტით. დავალება:დაასახელე სესხის აღბის სამი მიზეზი. ჯილდო 30 ფინანსი • ტერმინი საბანკო ანგარიში:განმარტება:ბანკში არსებული შენი ფულის აღრიცხვა.დავალება:ჩამოთვალე საბანკო ანგარიშის 2 სახე.ჯილდო 40 ფინანსი თითოეულ ბარათს მინიჭებული აქვს თავისი ფერი კატეგორიების მიხედვით მაგ: გამოწვევების კატეგორია წითელი ბარათი, დაზოგვის კატეგორია ყვითელი ბარათი, ინვესტიციების კატეგორია მწვანე ბარათი, ბანკის კატეგორია ლურჯი ბარათი. • დაფაზე სწორედ კატეგორიების მიხედვით არის უჯრები შეფერადებული. • სპეციალური ბარათები: ოქროსფერი.

კონკურსის „ფინანსური ასოციაციობანა“ ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

შედეგი / მიგნება, რომელიც დადგა / გამოიკვეთა აღნიშნული აქტივობის განხორციელების შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომეთ აღნიშნული შედეგი)*	ბარათებზე მოცემულმა დავალებებმა კიდევ უფრო განამტკიცა მოსწავლეთა მიერ ნასწავლი ტერმინოლოგია, • ბარათბის დავალებები შეგვიძლია გავართულოთ ან გავამარტივოთ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით .ასევე ბარათებზე დამატებითი ილუსტრაციები ბავშვებს ეხმარება ვიზუალურად დაიმახსოვრონ ტერმინები. • თამაშის ბოლოს ყველა მოთამაშე ითვლის თავის ფულს, ასახელებს 3 ახალ ტერმინს რომელიც ისწავლა, გამარჯვებული იღებს „ფინანსური ექსპერტის ტიტულს“. ამ თამაშით ბავშვები არა მხოლოდ ისწავლიან ფინანსურ ტერმინებს არამედ გაიგებენ მათ პრაქტიკულ გამოყენებას, ბარათზე მიცემული დავალებების შესრულებით.
ვიზუალური მასალა *(სავალდებულო წესით არ მოითხოვება და აღნიშნულით არ მოხდება შეფასება)*	